ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N33

ქალაქი ბათუმი 02 აგვისტო 2019 წელი

ერთის მხრივ შპს "Goderdzi Resorts"-ი (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის მალხაზ მახარაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „მარი 97'' (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის იგნარ დიასამიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენ შპს „Goderdzi Resorts"-ის საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა ხელის ხელსაწყოების შესყიდვა დანართი 1-ის შესაბამისად.
2.2. საქონლის ზუსტი დასახელება და რაოდენობა განსაზღვრულია ფასების ცხრილში-დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშერკულების განუყოფელ ნაწილს.
2.3. შესასყიდი საქონლის კლასიფიკატორის (CPV) კოდი-**44511000** – (ხელის ხელსაწყოები).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 52 (ორმოცდათორმეტი) ლარს;
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი;

4. მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2019 წლის 2 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი;
4.2. საქონლის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის მისამართი;

5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, შემსყიდველის მიერ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით;
5.2. მიწოდებული საქონლის დაწუნების შემთხვევაში, მისი შეცვლა ახალი, ხარისხიანი საქონლით უნდა მოხდეს 1(ერთი) დღის განმავლობაში;

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები;
6.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები;
6.3. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით შედგენილი სასაქონლო ზედნადების და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ;
6.4. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს საქონელი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში;
6.5. თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან

ერთად, ან მის გარეშე, ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად;
6.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზის მითითებით;

7. გარანტია

7.1. მიწოდებული საქონლის ხარისხი და სტანდარტები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და საქონლისათვის დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებს;
7.2. მიწოდებული საქონლის სწორი ექსპლუატაციის პირობებში მიმწოდებელი იძლევა გარანტიას მასზედ, რომ მიწოდებულ საქონელზე არანაკლებ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში გამოვლენილი (აღმოჩენილი) ხარვეზის შემთხვევაში 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში შეცვალოს ახალი საქონელით;

8. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში;
8.2. ანგარიშსწორება მოხდება ერთჯერადად, საქონლის მიწოდებაზე გაფორმებული სასაქონლო ზედნადების და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
9.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შპს „Goderdzi Resorts"-ის შესყიდვების მენეჯერი ლაშა თურმანიძე;
9.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ;
9.4. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით – საქონლის მიწოდების პროცესში, ისე, მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას;
9.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2 პროცენტის ოდენობით;
10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
10.4. შემსყიდველი დარიცხული პირგასამტეხლოს თანხის დაკავებას შესაბამისი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე ახორციელებს მიმწოდებელზე ასანაზღაურებელი მიწოდებული საქონლის ღირებულებიდან;
10.5. იმ შემთხვევაში, თუ დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა აღემატება მიმწოდებელზე ასანაზღაურებელი მიწოდებული საქონლის ღირებულებას, მიმწოდებელი ვალდებულია პირგასამტეხლოს თანხა ჩარიცხოს შეტყობინებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე შეტყობინების მიღებიდან ათი სამუშაო დღის განმავლობაში;
10.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;
11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და

მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

11.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ;
11.4. 11.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
11.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე;

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;
12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
12.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;
12.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
13.3. ხელშეკრულების 13.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება;
13.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 13.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე;
13.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

14. ხელშეკრულების შესრულების და წინასწარი გადახდის უზრუნველყოფის გარანტია

14.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ გამოიყენება;
14.2. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;
15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს;

16. სხვა პირობები

16.1. საქონლის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს;

16.2. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

16.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

16.4. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით;

16.5. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება;

16.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე;

16.7. უცხოურენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტი ენიჭება ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს;

16.8. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან;

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 02 სექტემბრის ჩათვლით;

17.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება ძალაში რჩება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც;

18. მხარეთარეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
შპს “Goderdzi Resorts”	შპს მარი 97
• მის: საქართველო, ქ. ბათუმი, კ.გამსახურდიას #1, ბ. 4-7	• მის: საქართველო, ბათუმი, პუშკინის ქუჩა, №156
• ს/კ: 245 629 388	• ს/კ 445478251
• სს სს ტერა ბანკი	• სს თიბისი ბანკი
• მფო TEBAGE22	• მფო TBCBGE22
• ა/ა GE37KS0000000340200006	• ა/ა GE94TB7449836050100002
დირექტორი: ----------მ. მახარაძე	დირექტორი ---------- ი. დიასამიძე

LTD goderdzi resorts

Digitally signed by LTD goderdzi resorts
Date: 2019.08.02 14:45:57 +04'00'

ხელშეკრულება N 33

ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთეულის ფასი	საქონლის ფასი
1	ნიჩაბი (მათე)	ცალი	2	8.00	16
2	ბარი (მათე)	ცალი	2	8.00	16
3	ხელის თოხი	ცალი	2	10.00	20
4	ჯამი				52